საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ბადრი შონიას* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	19	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	20	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	4	5
პროფესიული აქტივობები	4	5
ქულათა ჯამი	**94**	**100**

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი: 29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ პროცედურაში
მონაწილე კანდიდატის - **ბადრი შონიას** შეფასების დასაბუთება

29.04.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 24 იანვრის N¼ განკარგულებით დაწყებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი კანდიდატის - **ბადრი შონიას** შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კეთილსინდისიერების კრიტერიუმით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლით დადგენილი მახასიათებლების მიხედვით.

მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	ამ კრიტერიუმით მოსამართლეობის კანდიდატის - ბადრი შონიას შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული მისი, როგორც მოსამართლის და მოქალაქის წესიერება, თავმდაბლობა, უშუალობა, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, გადაწყვეტილების მიღებისას მედეგობა და სხვა თვისებები. კანდიდატი სამსახურებრივ და სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. ბადრი შონია გამოირჩევა კორექტულობით, თავდაჭერილობით, ამასთანავე - პრინციპულობით, პოლიტიკური და სხვა ნიშნით მიუკერძოებლობით, მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით.
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	კანდიდატს აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება. სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათის დაკისრებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ჯარიმები კანდიდატს გადახდილი აქვს დროულად. რეკომენდატორები და კანდიდატთან პიროვნულ თუ პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირები ბადრი შონიას პირად თვისებებსა და პროფესიულ საქმიანობას აფასებენ დადებითად და მიაჩნიათ, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. მოძიებული ინფორმაციით, ბადრი შონიას მიმართ დისციპლინური დევნა ან/და სისხლის სამართლის წარმოება არ დაწყებულა, ასევე დაზარალებულად ან სამართლებრივ დავაში მხარედ იგი წარმოდგენილი არ ყოფილა. ზემოაღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ ბადრი შონია, როგორც სამოსამართლო გამოცდილების მქონე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი, სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატი კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით შეფასდა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის მე-17 პუნქტით დადგენილი წესით.
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	**კომენტარი**
სამართლის ნორმების ცოდნა	**19**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობის, ადამიანის უფლებების სამართლის, მათ შორის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ცოდნის დონე, აგრეთვე - გამოტანილ გადაწყვეტილებებში სამართლის ნორმების, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის გამოყენების სისწორე. საჯარო მოსმენით მიღებული შთაბეჭდილება. კანდიდატთან გამართული საჯარო მოსმენითა და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ ბადრი შონია კარგად იცნობს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო კანონმდებლობას. მას ასევე გააჩნია საერთაშორისო აქტებით დადგენილი ნორმებისა და პრაქტიკის სათანადო ცოდნა. საჯარო მოსმენის შედეგად შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატი ეცნობა როგორც შიდა სასამართლო პრაქტიკას და ეროვნულ კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს. საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატმა უპასუხა არაერთ შეკითხვას სამართლის სხვადასხვა სფეროდან და, ძირითადად, მისი პასუხები იყო თანმიმდევრული, არგუმენტირებული და

			სწორი. კერძოდ, მან უპასუხა სამართლებრივ კითხვებს სამოქალაქო პროცესში მტკიცებულებათა და სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე, საკასაციო საჩივრის დასაშვებობის წინაპირობებზე, მედიაციის ინსტიტუტთან დაკავშირებით, ადმინისტრაციული კუთხით - კანონიერი ნდობის არსის შესახებ, სისხლის სამართლის პროცესში მტკიცებულებათა დასაშვებობაზე. მანვე იმსჯელა სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების საკითხზე, სამართლიანი სასამართლოს უფლების არსზე და სხვა ზოგად თუ სამართლებრივ საკითხებზე. ამდენად, კანდიდატის საჯარო მოსმენის პროცესის შედეგის და წარმოდგენილი დოკუმენტების გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ბადრი შონიას მიერ სამართლებრივი საკითხების ცოდნა არის საკმაოდ მაღალი და სიღრმისეული. აქვე აღსანიშნავია, რომ ბადრი შონიას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	**19**	**20**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი და პროფესიული გამოცდილება, ასევე სამოსამართლო გამოცდილების კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დასაბუთებულობა და დამაჯერებლობა. ბადრი შონიას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის 13 წელზე მეტი ხნის გამოცდილება. ამ პერიოდში ის იყო როგორც სისხლის სამართლის საქმეების, ასევე სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი მოსამართლე. აჭარამად ბადრი შონია არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლე და ამავე კოლეგიის თავმჯდომარე.

			ბადრი შონიასთან გამართული საჯარო მოსმენის და მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი გამოირჩევა დამაჯერებელი, დასაბუთებული წერის უნარით, ამასთან, კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს, ახერხებს სამართლებრივი საკითხების სწორად აღქმას და მსჯელობის თანმიმდევრულად და მკაფიოდ გადმოცემას. მას აქვს ანალიტიკური აზროვნების უნარი. შესწავლილ დოკუმენტებში მნიშვნელოვანი გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა
წერის უნარი	**20**	**20**	ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება წერილობით აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემის, ლოგიკური მსჯელობისა და ანალიზის უნარი. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტებით ჩანს, რომ კანდიდატი ბადრი შონია წერილობით მკაფიოდ და თანმიმდევრობით გადმოსცემს აზრს და მისი მსჯელობა არის ლოგიკური და დასაბუთებული.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	**14**	**15**	მითითებული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას მხედველობაში მიიღება გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი, ღიაობა, განსხვავებული აზრის მოსმენის შესაძლებლობა (უნარი) და საჯარო მოსმენისას მიღებული სხვა შთაბეჭდილება. ამ მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას, სხვა ინფორმაციასთან ერთად, ძირითადად მხედველობაში მივიღე საჯარო მოსმენისას კანდიდატის გამოსვლა და მიმაჩნია, რომ ბადრი შონია გამოირჩევა კარგი, გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარით. საჯარო მოსმენაზე კანდიდატი ნათლად და ამომწურავად გადმოსცემდა საკუთარ

			შეხედულებებს სხვადასხვა სამართლებრივ თუ ზოგად საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ საუბრობდა დაბალი ტონით, რაც გასაუბრების დაწყებამდე მან ახსნა ჯანმრთელობის დროებითი პრობლემით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	აღნიშნული მახასიათებლით სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მისი პუნქტუალურობა, საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადება, ქცევა სასამართლო დარბაზში და სხდომის სათანადოდ წარმართვის უნარი, ქცევა მხარეებთან ურთიერთობისას, გულმოდგინება და შრომისმოყვარეობა, პროდუქტიულობა და სისწრაფე, საპროცესო ვადების დაცვა და სხვა უნარები. რეკომენდატორებსა და სხვა გამოკითხული პირების დახასიათების, კანდიდატის პროფესიულ თვისებებითან, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციისა და კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ბადრი შონია გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევებით, გულმოდგინებით და გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. ასევე, შემექმნა შთაბეჭდილება, რომ კანდიდატს აქვს სტრესული სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების თვისებები. უშუალოდ კანდიდატის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური ინფორმაციის თაობაზე კი უნდა აღინიშნოს, რომ შესამოწმებელი პერიოდის განმავლობაში მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 100%-ს. თუმცა უცვლელად დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი არის 67,1%, რაც მიმაჩნია,

			რომ საშუალო მაჩვენებელია. საანგარიშო პერიოდში ბადრი შონიას დასრულებული აქვს დღეში საშუალოდ 0,2 საქმე. აღსანიშნავია, რომ შესაფასებელ პერიოდში ბადრი შონია იყო იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი, ასევე არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარე, რის გამოც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის N1/56 გადაწყვეტილების შესაბამისად (საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი) მასზე საქმეები შემცირებული რაოდენობით ნაწილდებოდა. მოძიებული ინფორმაციით, კანდიდატის მიმართ დისციპლინური წარმოება დაწყებული არ არის.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	**4**	**5**	აღნიშნული მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ძირითადად გაითვალისწინება სიახლეების მიმართ მისი ღიაობა, თვითგანვითარების უნარი, პროფესიული წვრთნის პროგრამაში მონაწილეობა, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი, შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება და სხვ. ბადრი შონია ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს, ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით. კანდიდატი არის ღია სიახლეების მიმართ და გააჩნია თვითგანვითარების უნარი. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში. კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არ აქვს მომზადებული სამეცნიერო ან სხვა სახის პუბლიკაცია.

პროფესიული აქტივობა	4	5	აღნიშნული მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება მის მიერ ინიციატივის გამოჩენის უნარი, იდეებისა და წინადადებების წამოყენება, მისი სამეცნიერო და სხვა პუბლიკაციები, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატის მიმართ შეფასებისას აგრეთვე გაითვალისწინება სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შეხვედრებსა და სემინარებში მისი მონაწილეობა, საკუთარი პოზიციისა და შეხედულებების ღიად და თავისუფლად გამოხატვა. ბადრი შონიას პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ის აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში, სამუშაო შეხვედრებში. არაერთხელ საჯაროდ და თავისუფლად დაუფიქსირებია საკუთარი პოზიცია მართლმსაჯულებასა და სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
ქულათა ჯამი	**94**	**100**	

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება
კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად, თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი ბადრი შონია კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, როგორიც არის - პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, პიროვნული და პროფესიული ქცევა, პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია და ფინანსური ვალდებულება.

აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით ბადრი შონიას შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან - მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ; სს „კრედიტინფო საქართველოდან" სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან - ცნობა შემოსავლების შესახებ; საჯარო სამსახურის ბიუროდან - ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია; კანდიდატის სამუშაო ადგილიდან - ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ. ბადრი შონიას დახასიათების მიზნით მასთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან მიღებულ იქნა შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები და კითხვარები. ამასთან, ბადრი შონიას შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას უშუალოდ კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები და მახასიათებლები.

ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით <u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის</u> მახასიათებლის თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ ბადრი შონიას შესახებ გამოკითხული პირები და რეკომენდატორები მას აფასებენ როგორც კეთილსინდისიერ, გულწრფელ, უშუალო და თავმდაბალ პიროვნებას, აღნიშნავენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობით, ხაზს უსვამენ მის პროფესიულ ღირსებებს. გამოკითხული პირები არ მიუთითებენ კანდიდატის სისუსტეებსა და ნაკლოვანებებზე. ბადრი შონიას გააჩნია პასუხისმგებლობისა და მოვალეობების მაღალი შეგნება და სამსახურებრივ თუ სხვა სახის მოვალეობებს, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებებს ასრულებს ჯეროვნად. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო დაკისრებული ჯარიმები ბადრი შონიას გადახდილი აქვს დროულად.

რაც შეეხება <u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებელს</u>, გამოკითხული რეკომენდატორები და სხვა პირები ბადრი შონიას აფასებენ როგორც სამართლიან, შეუვალ, გაწონასწორებულ, მიუკერძოებელ პიროვნებას, რომელსაც შეუძლია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. რაც შეეხება, კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობის საკითხს, უნდა აღნიშნოს, რომ ის არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი ან მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც მისი მხრიდან არ გამოვლინდა პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის ნიშნები.

<u>პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან</u> დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბადრი შონია იცავს სამოსამართლო ეთიკის წესებს, კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული და გამოირჩევა მოსამართლის მაღალი წოდების შესაბამისი ქცევითა და იმიჯით. კანდიდატის მოსმენის შედეგად დამრჩა შთაბეჭდილება, რომ არის მოტივირებული, თავდაჭერილი და თავაზიანი. ამასთან, კანდიდატის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან/და

სისხლისსამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა და ის სასამართლო დავებში მხარე არ ყოფილა. საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ბადრი შონია დაზარალებულად ცნობილი არ ყოფილა.

<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებლის</u> მიხედვით კანდიდატის პიროვნულ თვისებებს, ისევე როგორც მის პროფესიულ მიღწევებს, რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ბადრი შონიას შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია ინფორმაცია მის მიერ განხილული საქმეების თაობაზე და, როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის, მის მიერ სხვადასხვა საკითხზე გაკეთებული განცხადებების შესახებ. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან და ხარისხთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბადრი შონია აქტიურად მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში.

<u>ფინანსური ვალდებულების მახასიათებელთან</u> დაკავშირებით, შესაძლებელია ითქვას, რომ ბადრი შონია ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ ვალდებულებებს, მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ აქვს და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი ბადრი შონია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე ბადრი შონიას შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, - სამართლებრივი ნორმების ცოდნა, სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია, წერის უნარი, ზეპირი კომუნიკაციის უნარი, პროფესიული თვისებები, მათ შორის - ქცევა სასამართლო დარბაზში, აკადემიური მიღწევები, პროფესიული წვრთნა და პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებსა და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ მთაბეჭდილებას.

სამართლებრივი ნორმების ცოდნის კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატი ბადრი შონია კარგად იცნობს სამოქალაქო და ადმინისტრაციული, ასევე სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, საქართველოს უზენაესი სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. საჯარო მოსმენის შედეგად ნათელი გახდა, რომ ბადრი შონია კარგად იცნობს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. აღსანიშნავია, რომ მას ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2024 წლის 03 აპრილს, ბადრი შონიასთან გაიმართა საჯარო მოსმენა. საჯარო მოსმენისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა კანდიდატს დაუსვეს არაერთი ზოგადი და კონკრეტული სამართლებრივი ხასიათის შეკითხვა, რაც ზემოთ არის მითითებული. მიმაჩნია, რომ კანდიდატმა დასმულ შეკითხვებზე დააფიქსირა ამომწურავი და კვალიფიციური პასუხები, თითოეულ საკითხზე მისი მსჯელობა იყო არგუმენტირებული და საინტერესო.

კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების, კომპეტენციისა და წერის უნართან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ბადრი შონიას აქვს ხანგრძლივი პროფესიული, მათ შორის, მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობის თითქმის ცამეტწლიანი გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ ის ამჟამად თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის თავმჯდომარეა. წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის შესწავლის საფუძველზე შეიძლება აღინიშნოს, რომ ბადრი შონია გამოირჩევა სათანადო წერის უნარით. ამასთან, კანდიდატი კარგად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს. შესწავლილ დოკუმენტებში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა.

ზეპირი კომუნიკაციის უნართან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ბადრი შონია გამოირჩევა გამართული მეტყველების უნარითა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის თვისებით. კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე ნათლად და არგუმენტირებულად იმსჯელა სხვადასხვა საკითხზე.

პროფესიული თვისებების, მათ შორის, სასამართლო დარბაზში ქცევასთან დაკავშირებით ბადრი შონიას შესახებ მოძიებული ინფორმაციითა და მის წარმოებაში არსებულ საქმეთა განხილვის სტატისტიკური მაჩვენებლების გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ კანდიდატი გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, პუნქტუალურობით, მიზანდასახულობით, კარგი მენეჯერული უნარ-ჩვევებითა და გულმოდგინებით. მას გააჩნია საქმის ჯეროვნად, პასუხისმგებლობით მომზადების, მხარეებთან სათანადოდ მოქცევისა და სასამართლო სხდომის კარგად წარმართვის უნარი. მას აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის, გადაწყვეტილების დაუხმარებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების თვისებები. მის მიერ საპროცესო ვადების დაცვით განხილულ საქმეთა პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 100%-ს. თუმცა უცვლელად

დატოვებულ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა პროცენტული მაჩვენებელი არის 67,1%, რაც მიმაჩნია, რომ საშუალო მაჩვენებელია.

<u>კანდიდატის აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული აქტივობის</u> შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ბადრი შონია არის ღია სიახლეების მიმართ და აქვს თვითგანვითარების, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესი. ბადრი შონია აქტიურად მონაწილეობდა მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, ღიად და თავისუფლად აფიქსირებდა საკუთარ პოზიციას სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

შ ე ჯ ა მ ე ბ ა

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ **ბადრი შონია,** როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი, **სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.** ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეული მახასიათებლის მიხედვით დაგროვილი ქულათა ჯამი მაქსიმალური 100 ქულიდან შეადგენს 94 ქულას.

შემფასებელი: **ნიკოლოზ მარსაგიშვილი**

29.04.2024